პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 185 (5735)

18

1976 წ. სექტემბერი შაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საქდესის ცნობა

• •

„სოიუზ-22" ხომალდის ეკიპაჟი ფოტოსურათებს უღებს დედამიწას

ფრენის მართვის ცენტრი, 16 სექტემბერი. (საქდესი). 12 საათისთვის მოსკოვის დროით „სოიუზ-22" კოსმოსურმა ხომალდმა 16-ჯერ შემოუფრინა დედამიწას.

გუშინ მოძრაობის ტრაექტორიის კორექციის მოწყობის შემდეგ ხომალდი განაგრძობს ფრენას ორბიტით, რომლის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 280 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 250 კილომეტრი;

გარშემოვლის პერიოდი — 89,6 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 65 გრადუსი.

დღეს ეკიპაჟის სამუშაო დღე 7 საათზე დაიწყო. სამედიცინო კონტროლისა და საუზმის შემდეგ კოსმონავტებმა ვ. თ. ბიკოვსკიმ და ვ. ვ. აქსიონოვმა დაამთავრეს გადასაღებად მრავალზონალური ფოტოაპარატურის მომზადება.

მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისთვის დედამიწის ზედაპირის ფოტოგრაფირების პირველი სერია მაშინ შესრულდა, როცა კოსმოსურმა ხომალდმა თავს გადაუფრინა აღმოსავლეთ ციმბირის რაიონებს.

მეცნიერული გამოკვლევების პროგრამით ეკიპაჟმა დაიწყო უმაღლეს მცენარეთა განვითარებაზე კოსმოსური ფრენის ფაქტორების გავლენის შესწავლის ბიოლოგიური ექსპერიმენტის შესრულება.

ამხანაგები ბიკოვსკი და აქსიონოვი თავს კარგად გრძნობენ. „სოიუზ-22" კოსმოსური ხომალდის ფრენა პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს.

ორბიტიდან ტელერეპორტაჟების დროს ვ. ბიკოვსკი და ვ. აქსიონოვი იღიმებიან, ხუმრობენ. ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ „სოიუზ-22"-ის ეკიპაჟი უკვე მიეჩვია უწონობის მდგომარეობას. „თავს შესანიშნავად ვგრძნობთ!" — ამ სიტყვებით დაიწყო გუშინ კოსმონავტთა მეორე სამუშაო დღე.

სურათზე: ხომალდ „სოიუზ-22"-ის ეკიპაჟი — მეთაური ვ. ბიკოვსკი (მარჯვნივ) და ბორტინჟინერი ვ. აქსიონოვი ხომალდის ორბიტულ ნაკვეთურში.

საქდესის ფოტო.

(სურათი გადაღებულია ტელევიზორის ეკრანიდან).

ვარსკვლავები თბილისის კორტებზე

ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე თბილისში რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი ტურნირი ჩატარდა. მოეწყო დევისის თასის გათამაშების ორი მატჩი — ჯერ მონაკოს, ხოლო შემდეგ უნგრეთის გუნდებთან, ახლა კი სტარტი აიღო, ასე ვთქვათ, „შინაურულმა" შეჯიბრებამ — საბჭოთა კავშირის გუნდური თასის გათამაშების ფინალმა ქალთა და ვაჟთა შორის. ჩვენს დედაქალაქში წლეულს სარბიელზე ვიხილეთ ა. მეტრეველიც და თ. კაკულიაც, ბ. ტაროცია და ევროპის სხვა ცნობილი ჩოგნის ოსტატებიც. ამ დღეებში კი თბილისელ მაყურებლებს ხიბლავენ ო. მოროზოვა, ნ. ჩმირიოვა, მ. ჩუვირინა, ე. გრანატუროვა, ე. ბირიუკოვა, ტ. პარმასი, ა. მეტრეველი, თ. კაკულია, ვ. ბორისოვი, ვ. ეგოროვი, ს. ლიხაჩოვი, ვ. კოროტკოვი, ვ. ბობოედოვი...

გულშემატკივრებს ჯერჯერობით იმედი არ გამტყუნებიათ. მართალია, ლიდერთა შეხვედრების უმეტესი ნაწილი, ფეხბურთის ენით რომ ვთქვათ, „ცალ კარში მიმდინარეობს", მაგრამ ეს მათ ოსტატობის გამოვლენაში ხელს არ უშლით. ახლაც ისეთივე შეუპოვარია მოროზოვა, როგორც ყოველთვის, ისევ ისე მომხიბლავად თამაშობს ჩმირიოვა, ისევ უცვლელია მეტრეველისა და კაკულიას ზომიერი „აკადემიურობა". ერთი სიტყვით, ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით (სანახაობრივი თვალსაზრისით) და, რაც მთავარია, გეგმაზომიერად ხდება. ფავორიტები ამა-

(დასასრული მე-4 გვ.).

ხალხის კეთილდღეობისთვის

ჯერ კიდევ ხშირია ფაქტები, როცა ახალი საცხოვრებელი კორპუსები, მიკრორაიონები და მთლიანად საცხოვრებელი მასივებიც კი საექსპლოატაციოდ სპორტული და საბავშვო მოედნების, საცურაო აუზების გარეშე ბარდება, ამ ბაზების აშენებისთვის კი შემდგომში აღარავითარი ღონისძიება აღარ ხორციელდება.

სწორედ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მაღალი დონე უნდა იყოს ნორჩი ტალანტების გამოვლენისა და აღზრდის პირველი წყარო. მოზარდებმა სკოლებთან ერთად სწორედ ეზოების, უბნების, მიკრორაიონების სპორტულ მოედნებზე, აუზებში უნდა ისწავლონ ხტომა, სირბილი, თამაში, ცურვა; სწორედ ეს მოედნები უნდა გადაიქცეს მშრომელთა გაჯანსაღების პირველ კერებად.

ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტებს, რაიაღმასკომების საბინაო მეურნეობების სამმართველოებს, საბინაო და კომუნალური მომსახურების საექსპლოატაციო კონტორებს, პედაგოგ-ინსპექტორებსა და პედაგოგ-ორგანიზატორებს მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი საქმიანობისთვის ყველა შესაძლებლობა თავიდანვე სათანადოდ რომ გამოეყენებინათ, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მშრომელთა შორის მუშაობის დონე უფრო მაღალი იქნებოდა და, აქედან გამომდინარე, სსრ კავშირის ხალხთა ბოლო სპარტაკიადისთვის მზადებაშიც უკეთეს შედეგებს მივაღწევდით.

ჩამორჩენის მიზეზებს ყველგან ვეძებდით, ვამბობდით, რომ პირველხარისხოვანი სტადიონების, მოედნების, დარბაზების, აუზების, სარბენი ბილიკებისა და ხექტორების ქსელი არ კმარა. ეს მართალია, მაგრამ ისიც სწორია, რომ მწვრთნელები მთელი დატვირთვით არ მუშაობენ, სკოლებში არ დადიან და პატარებში არ ეძებენ ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულებს, სპორტსკოლებში შემთხვევით მოხვედრილ, ხშირად უპერსპექტივო მოზარდებთან მუშაობაში კარგავენ დროს.

რესპუბლიკის მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში შექმნილი მდგომარეობა სათანადო დაფიქრებასა და ღონისძიებებს მოითხოვდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის ზრუნვით მიღებულია ზომები სპორტული ბაზების რიცხვის გასაზრდელად, საქმიანობის ასამაღლებლად. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1974 წლის დამლევს მიიღო სპეციალური ფუნდამენტური გადაწყვეტილება „მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

აღნიშნული დადგენილება თბილისის რაისაბჭოების აღმასკომების საბინაო მეურნეობების სამმართველოებს, საბინაო და კომუნალური მომსახურების საექსპლოატაციო კონტორებს ავალებდა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტებთან ერთად ქალაქის ყველა საბინაო და კომუნალური მომსახურების საექსპლოატაციო კონტორასთან წლის ბოლომდე შეექმნათ ფიზკულტურისა და ჯანმრთელობის საზოგადოებრივი საბჭოები; ამ საბჭოების მუშაობაში აქტიურად ჩაებათ საბინაო და კომუნალური მომსახურების კონტორების ტერიტორიაზე მცხოვრები სპორტის ვეტერანები, პენსიონერები, სპორტსმენები, სამედიცინო დარგის მუშაკები, საშეფო ორგანიზაციების წარმომადგენლები; მათი დახმარებით ფართოდ გაეშალათ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა მოსახლეობაში, განსაკუთრებით მოზარდებში, საშუალო და უფროსი ასაკის მობინადრეებში; საცხოვრებელ მასივებში, მიკრორაიონებში, ეზოებში მოეწყოთ და შეეკეთებინათ სპორტული და საბავშვო მოედნები, მოსახლეობა მიეზიდათ საერთო ფიზმომზადების, ჯანმრთელობის ჯგუფებში, მშდ კომპლექსის ნორმატივების მომზადებასა და ჩაბარებაში; სისტემატურად ჩაეტარებინათ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებები სადარბაზოების, კორპუსების, ეზოების, მიკრორაიონების, მასივების, საბინაო და კომუნალური მომსახურების საექსპლოატაციო კონტორების გუნდებს შორის, მოეწყოთ მოწინავე სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები, შეხვედრები გამოჩენილ სპორტსმენებთან, ჩემპიონებთან, რეკორდსმენებთან, სპორტის ვეტერანებთან, გაემართათ ლექციები და საუბრები ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მნიშვნელობაზე ჯანმრთელობის განმტკიცებასა და სიცოცხლის გახანგრძლივებაში.

აღნიშნული დადგენილება კულტურისა და დასვენების პარკების დირექტორებისგან მოითხოვდა გაეუმჯობესებინათ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა დამსვენებელთა შორის, შეექმნათ ჯანმრთელობის ჯგუფები და ამ ჯგუფებში ფართოდ ჩაებათ ახლომდებარე მიკრორაიონების მოსახლეობა, თვალსაჩინო ადგილზე მოეწყოთ მშდ კომპლექსისა და გამოჩენილ სპორტსმენთა სტენდები და ფოტოგამოფენები, რეგულარულად ჩაეტარებინათ სპორტული შეჯიბრებები და კონკურსები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მშდ კომპლექსის მრავალჭიდში.

ღონისძიებებს ფუჭად არ ჩაუვლია: დედაქალაქში მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ამაღლებისთვის ბევრი რამ გაკეთდა, ბევრ მიკრორაიონში მოეწყო ბაზები, თბილისში რამდენიმე კაპიტალური სპორტული ნაგებობა შენდება, დამთავრდა „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქცია, ფიზკულტურის ინსტიტუტთან და წერეთლის პროსპექტზე აგებენ მძლეოსნურ მანეჟებს, ხოლო მარჯვენა სანაპიროზე — საცურაო აუზს...

საბინაო-საექსპლოატაციო კონტორებთან შეიქმნა კულტურისა და ჯანმრთელობის საზოგადოებრივი საბჭოები. ჩატარდა პედაგოგ-ორგანიზატორთა სემინარები. კულტურისა და დასვენების პარკებმა საგრძნობლად გააძლიერეს დამსვენებელთა შორის გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს პარტიზანთა სახელობის პარკი...

მაგრამ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურულ და გამაჯანსაღებელ მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. ეს განსაკუთრებით საშეფო ორგანიზაციების დახმარებას ეხება. მასივების ყველა კვარტალში კვლავ არ შენდება სპორტული ბაზები და საბავშვო მოედნები, ზოგან გაჭიანურდა მიკრორაიონებში ბაზებისა და ჯანმრთელობის ზოლის მოწყობა; არ იგრძნობა ჯანმრთელობის სახალხო კლუბების „დილის" (დიღმის მასივი), „დელისისა" (საბურთალო) და „გაზაფხულის" (საქარხნო რაიონი) გააქტიურება.

მიკრორაიონებში სპორტული და საბავშვო მოედნების მოწყობის გეგმები ვერ შეასრულეს ორჯონიკიძის, პირველი მაისის, კალინინისა და საქარხნო რაიონებმა.

დრო არ ითმენს, ყველამ ვისაც ევალება ბავშვების, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა ჯანმრთელობისთვის ზრუნვა, თავდაუზოგავად უნდა იმუშაოს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების შესასრულებლად. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სპორტსმენთა დაოსტატებისთვის, ნაკრები გუნდების რეზერვების აღზრდისთვის, საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე წარმატებების მოპოვებისთვის.

კოეფიციენტთა ცხრილმა გადაწყვიტა

რეიკიავიკში (ისლანდია) დამთავრდა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. I-II ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა ფ. ოლაფსონმა (ისლანდია) და ჰოლანდიის ჩემპიონმა ი. ტიმანმა — 11-11 ქულა. კოეფიციენტთა ცხრილით I ადგილი ისლანდიელ მოჭადრაკეს მიეკუთვნა.

III-IV ადგილები გაიყვეს 65 წლის დიდოსტატმა მ. ნაიდორფმა (არგენტინა) და საბჭოთა დიდოსტატმა ვ. ტუკმაკოვმა — 10,5-10,5.

მემორიალის გმირები

მ. ჩიგორინის XI მემორიალის გმირებად შეიძლება ვაღიაროთ საერთაშორისო ოსტატები ი. ზაიცევი (მოსკოვი) და ე. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი). შეჯიბრება, რომელიც სოჭში მიმდინარეობს, ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მათ უკვე შეასრულეს საერთაშორისო დიდოსტატის ბალი. ზაიცევისთვის ეს მეორე ბალია, რაც დიდოსტატის წოდების მიღების უფლებას აძლევს, სვეშნიკოვისთვის კი — პირველი.

ბოლოსწინა, XIV ტურის შემდეგ მემორიალს ლიდერობს ლ. პოლუგაევსკი — 9,5 ქულა. ზაიცევსა და სვეშნიკოვს 9-9 ქულა აქვთ, ვ. ცეშკოვსკის (ომსკი), მ. ადორიანს (უნგრეთი) და ფ. გეორგიუს (რუმინეთი) — 8-8 ქულა და თითო გადადებული პარტია.

ტანდემი: სპორტსმენი და ექიმი

საექიმო ფიზკულტურის ამოცანები და პრობლემები 1980 წლის ოლიმპიადისთვის მზადებასთან დაკავშირებით

არც ერთი შეჯიბრება, მატჩი თუ ტურნირი არ ჩატარდება ისე, რომ სარბიელთან ახლოს არ ტრიალებდნენ თეთრ ხალათებში გამოწყობილი ადამიანები — სპორტული ექიმები, რომლებიც ყოველ წუთს მზად არიან სპორტსმენებს დახმარების ხელი გაუწოდონ. ისინი სპორტსმენების გვერდით არიან საწვრთნელ მეცადინეობებზეც, განსაკუთრებით შეკრებათა პერიოდში. მათ ევალებათ საექიმო პედაგოგიური კონტროლი, ისინი მწვრთნელებს ეხმარებიან საჭირო რჩევა-დარიგებებით. სხვათა შორის, ჯერ კიდევ 1924 წელს საბჭოთა ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის პირველი სახკომი ნ. სემაშკო ამბობდა, რომ „საბჭოთა ფიზკულტურა არ არსებობს საექიმო კონტროლის გარეშე“.

განსაკუთრებით დიდი ამოცანებია დასახული სპორტული ექიმების წინაშე დღეს, როცა უკვე დაიწყო ინტენსიური მზადება მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პერიოდში სსრ კავშირის ნაკრები გუნდების სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას, რომელშიც მკაფიოდაა განსაზღვრული სპორტული ექიმების მუშაობის მიმართულება. გაზეთ „ლელოს“ კორესპონდენტი შეხვდა რესპუბლიკური საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერის მთავარ ექიმს კ. არობელიძეს და სთხოვა მას ამ თემასთან დაკავშირებით პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

— პირველ ყოვლისა გთხოვთ მოკლედ გვიამბოთ ჩვენს რესპუბლიკაში საექიმო ფიზკულტურის განვითარების ისტორიისა და ამ სამსახურის სტრუქტურის შესახებ...

— საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერები საბჭოთა კავშირში და კერძოდ ჩვენს რესპუბლიკაში 25 წელია არსებობს. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისში ჯერ კიდევ 1924 წელს გაიხსნა საექიმო კონტროლის კაბინეტი ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზთან. შემდეგ, 1934 წელს, საქართველოს დედაქალაქში შეიქმნა საბჭოთა კავშირში პირველი ბავშვთა საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერი. ამჟამად საქართველოში ათი ასეთი დაწესებულებაა. დისპანსერები გახსნილია აფხაზეთში, აჭარაში, ქუთაისში, რუსთავში, ცხინვალში, ზუგდიდში. ამას გარდა, თბილისში ოთხი დისპანსერია: რესპუბლიკური, საქალაქო, საგზაო (ამიერკავკასიის რკინიგზისა) და საბავშვო. ამ მხრივ ჩვენ მხოლოდ მოსკოვს ვუთმობთ პირველობას. ამ საქმეს ემსახურება 164 ექიმი, 225 მუშაკი საშუალო მედპერსონალიდან, 256 უმაღლესი განათლების მქონე სამკურნალო ფიზკულტურის ინსტრუქტორი. ამგვარად, ყოველ 10000 კაცზე რესპუბლიკაში 0,3 სპორტული ექიმი მოდის. შედარებისთვის ვიტყვით, რომ რსფსრ-სა და ბელორუსიაში შესაბამისი მაჩვენებელია 0,2, ხოლო უკრაინასა და ყაზახეთში — 0,1.

ჩვენი დისპანსერები ემსახურებიან ყველა სპორტის ოსტატსა და თანრიგოსანს სპორტის 34 სახეობაში. ყოველწლიურად ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშაა და მკურნალობს რესპუბლიკის 3000-მდე სპორტსმენი. გარდა ამისა, ჩვენი დისპანსერები ემსახურებიან ყველა საერთაშორისო, საკავშირო, რესპუბლიკურ თუ სასპარტაკიადო შეჯიბრებას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ტარდება. ჩვენი სპეციალისტები საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროსაც არ ტოვებენ გუნდებს.

— რა ამოცანები დგას საქართველოს სპორტული ექიმების წინაშე მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებასთან დაკავშირებით?

— ეს ამოცანები კონკრეტულადაა ჩამოყალიბებული სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრისა და საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ერთობლივ მითითებაში, ამავე ამოცანებს გვისახავს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ი. ზერგენიძის მითითებაც. მათში ნათქვამია, რომ აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სსრ კავშირის ნაკრები გუნდების წევრ სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურებას საცხოვრებელ ადგილებში.

— რაკი სიტყვამ მოიტანა, სად და ვინ ამზადებს სპორტულ ექიმებს?

— კადრების საკითხში ჯერ კიდევ ბევრი სირთულე გვაქვს გადასალახავი. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში საექიმო კონტროლს ძალიან ცოტა დრო ეთმობა და სტუდენტებიც საჭირო ცოდნას ვერ ღებულობენ. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტთან არსებობს სპეციალიზაციისა (ოთხი თვე) და დახელოვნების (3) კურსები საექიმო კონტროლსა და სამკურნალო ფიზკულტურაში. ეს არის და ეს.

— რას გვეტყვით რესპუბლიკური საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ, უპასუხებს თუ არა იგი თანამედროვე მოთხოვნებს?

— ეს ბაზა თანდათან ფართოვდება. ჩვენ ვღებულობთ თანამედროვე სამამულო თუ უცხოურ მოწყობილობას, სრულყოფილ აპარატურას, ტრანსპორტს. მაგრამ დისპანსერს ისეთ სივიწროვეში უხდება მუშაობა, რომ ხშირად ამ აპარატურის დასადგმელი ადგილის პოვნაც გვიჭირს. არ გვყოფნის კაბინეტები ექიმებისთვის, ფიზიოთერაპიისთვის, არა გვაქვს რენტგენის კაბინეტი, ქირურგიული კაბინეტი შესახვევით, კლინიკურ-დიაგნოსტიკური და ბიოქიმიური ლაბორატორიები ვერ უპასუხებენ სპორტული მედიცინის თანამედროვე მოთხოვნებს.

ამჟამად ჩვენი დისპანსერი მოთავსებულია ყოფილი ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ორ პატარა კორპუსში, რომლებიც დროებით გამოგვიყვეს. კორპუსებს კაპიტალური რემონტი სჭირდება. ამ მიზნით გამოყოფილია 40 ათასი მანეთი, ხოლო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანებით კაპიტალური რემონტი 1976 წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ ამ ორი კორპუსის გარემონტების შემდეგაც დისპანსერი სათანადოდ ვერ გაშლის მუშაობას — სივიწროვის გამო. მდგომარეობა გამოსწორდება, თუ დისპანსერს დარჩება ყოფილი ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს სისხლის გადასხმის კორპუსი და ცენტრალური ლაბორატორია (ოღონდ, რემონტი ორივეს დასჭირდება). ეს მნიშვნელოვანი საკითხია და დროულადაც უნდა გადაწყდეს.

საჭიროა უახლოეს ხანში მოგვარდეს კიდევ ერთი საკითხი: სამკურნალო ტანვარჯიშის კაბინეტს შესაფერი ბინა მიეცეს. რესპუბლიკაში ბავშვების 35 პროცენტს ხერხემლის რაიმე დეფექტი აქვს, ჩვენს კაბინეტს კი შეუძლია დღეში, დიდი-დიდი, 100 ადამიანს მოემსახუროს. ეს ზღვაში წვეთია.

— სპორტული ექიმები მონაწილეობენ სპორტსმენთა მზადების გეგმების შედგენაში, მწვრთნელებს აძლევენ საჭირო რეკომენდაციებს დატვირთვის გაზრდისა თუ შემცირების თაობაზე. შეუძლიათ თუ არა მათ პროგნოზის გამოთქმა სპორტსმენის შედეგის შესახებ?

— სპორტსმენის შედეგი მისი გაწვრთნილობის დონეზეა დამოკიდებული. გაწვრთნილობის სხვადასხვა მხარეს სხვადასხვა სპეციალისტი განსაზღვრავს — ექიმი, ფსიქოლოგი, ბიოქიმიკოსი და ა. შ. ჩვენ, ექიმები, ვადგენთ მხოლოდ სპორტსმენის ორგანიზმის ფუნქციურ მდგომარეობას, ხოლო ამ მხრივ მაღალი დონე იდენტური არ არის გაწვრთნილობის მაღალი დონისა. ასე რომ, სპორტულ ექიმს არც საფუძველი აქვს, არც უფლება სპორტსმენის გაწვრთნილობის მდგომარეობის გადაწყვეტისა და შედეგის შესახებ პროგნოზის გამოთქმისა. იგი მხოლოდ მის ნაწილს განსაზღვრავს — მნიშვნელოვანს, აუცილებელს, მაგრამ არა ერთადერთს.

— ხშირად ნახავთ ასეთ სურათს: გამარჯვების შემდეგ სპორტსმენი მაგრად ართმევს ხელს არა მარტო მწვრთნელს, არამედ ექიმსაც, რითაც გამოხატავს მადლობას გაწეული დახმარებისთვის. ხომ ვერ დაგვისახელებთ იმ ექიმებს, რომელთაც ღვაწლი მიუძღვით ჩვენს რესპუბლიკაში სპორტული მედიცინის განვითარებაში?

— დიდი სიამოვნებით შევასრულებ თქვენს თხოვნას. აი, ისინიც: რესპუბლიკის დამსახურებული ექიმები ქეთევან ანდღულაძე, ელენე სიხარულიძე, თამარ ჭანიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები ოთარ ვირუბოვი, თენგიზ ჟორჟოლაძე, აგრეთვე, ვენერა საკანდელიძე, იაკირა ფელდმანი, როზა ობოლაძე, ტატიანა ლებედევა, ქეთევან ქავთარაძე, ფრიდონ მხეიძე, თენგიზ ქუთათელაძე, მერაბ თავდიშვილი და სხვები. ყველა ჩვენი ექიმი თავდაუზოგავად შრომობს, რათა მედიცინასა და ფიზიკურ კულტურას შორის კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდეს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ნათქვამია: „სოციალისტური სახელმწიფო ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც თავის თავზე იღებს მზრუნველობას მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და გაუმჯობესებისთვის. ამას განაპირობებს სოციალურ-ეკონომიურ და სამედიცინო ღონისძიებათა სისტემა“. ჩვენ დაკისრებული გვაქვს დიდი ამოცანა — ხალხის ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის ზრუნვა. სპორტული ექიმები ამ მოვალეობას პირნათლად შევასრულებთ.

საუბარი ჩაიწერა **ზ. ქვათაძემ.**

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

მეგობრობის აფრები

ლენინგრადში, მდინარე ნევაზე, გაიხსნა პოლონეთის საგარეო ვაჭრობის საწარმო „ნავიმორის“ სპორტული ხომალდების გამოფენა.

გამოფენაზე დემონსტრირებულია 100-ზე მეტი სხვადასხვა კლასის იახტა, კატერი და მოტორიანი ნავი. ექსპოზიციას მისი მომწყობნი 1980 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების აფროსანთა რეგატისთვის მზადებას უკავშირებენ.

ნ. კონსტანტინოვი.
(საკდესის კორ.).

ლენინგრადი.

„საგზურს“ მოპოვება უნდა

ოლენოგორსკის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში ჩატარდა მასობრივი შეჯიბრებები მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად დევიზით „ოლიმპიური წელი არა მარტო ოლიმპიელთათვის“. ფიზკულტურელები ნორმატივებს აბარებდნენ სარბენ ბილიკებზე, ტირში, საცურაო აუზში, მძლეოსნურ სექტორში. ახლა საწარმოს 300 მუშა მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანს ატარებს.

კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივის თაოსნობით, იმ საამქროების წარმომადგენლები, სადაც შეჯიბრებები ყველაზე მასობრივი იქნება და ოსტატობის თვალსაზრისითაც მაღალ დონეზე ჩატარდება, მოსკოვის 1980 წლის თამაშების საგზურებს მიიღებენ. ოლენოგორსკის ფიზკულტურელები ხომ რამდენიმე წელია ეჯიბრებიან ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის კოლექტივს. ბოლო შეხვედრის დროს მოსკოველებმა ოლენოგორსკის კომბინატის საუკეთესო ფიზკულტურელები 1980 წლის ოლიმპიადაზე მიიწვიეს. ოლენოგორსკში კი გადაწყდა, რომ ამ საგზურებს მოპოვება უნდა შრომასა და სპორტში წარმატებით.

ვ. ზასუხინი.
(საკდესის კორ.).

მურმანსკი.

სტადიონების რიცხვი იზრდება

ტაშკენტის მახლობლად, დაბა კიბრაიში მწყობრში ჩადგა ახალი სპორტული კომპლექსი. 21 ჰექტარზე განლაგებულია 10000-ადგილიანი სტადიონი, სამი საწვრთნელი საფეხბურთო მინდორი, მძლეოსნური სექტორი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ორი საჩოგბურთო კორტი. სპორტსმენთა განკარგულებაშია სასწავლო-საწვრთნელი მანეჟიც, სადაც შეიძლება ტურნირების მოწყობა მინი-ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ხელბურთში, ფარიკაობაში, ჭიდაობაში, ძალოსნობაში...

(საკდესის კორ.).

ტაშკენტი.

სანამ მერხებს მიუსხდებოდნენ

სუმელი უფროსკლასელი მოსწავლეები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ზაილის ალათაუს მთებში იყვნენ და ე. აბალაკოვის პიკი (4463 მ) დალაშქრეს. ეს დღე მათ დიდხანს ემახსოვრებათ. ბავშვებმა მწვერვალზე დადგეს ბიუსტი მამაცი მთამსვლელის, ნიჭიერი მხატვრის, სწავლულისა და მწერლისა, რომლის სახელსაც მათი კლუბი ატარებს. მოსწავლეებმა „სსრ კავშირის ალპინისტის“ სამკერდე ნიშნები მიიღეს.

სუმის (უკრაინა) პიონერთა სასახლის წევრებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ ყაზახეთის მთამსვლელებთან. მათი კლუბის საპატიო წევრები არიან ცნობილი სპორტსმენები დადიომოვი, კოლოკოლნიკოვი და სტუდენინი. აბალაკოველები წლეულს მეორედ იყვნენ სტუმრად ალმა-ათაში. ახლა მათს პრაქტიკულ მეცადინეობებს კლდეებზე, თოვლზე და ყინულზე ხელმძღვანელობდა ცნობილი მთამსვლელი, ისტორიის მასწავლებელი კოლოდინი. იგი ბავშვებთან ერთად ავიდა აბალაკოვის პიკზე.

უ. კაიმირასოვი.
(საკდესის კორ.).

ალმა-ათა.

სეზონის სტარტზე

უზბეკეთის მთამსვლელთა ჯგუფმა დაიპყრო რევოლუციის პიკი (6974 მეტრი) პამირში, სიმაღლით მეექვსე მწვერვალი საბჭოთა კავშირში.

ექსპედიცია, რომელსაც სპორტის ოსტატი ვადიმ ელჩიბეკოვი ხელმძღვანელობდა, მწვერვალზე სამხრეთ კედლიდან ავიდა. ეს უმაღლესი სირთულის მარშრუტია.

ტ. გოლუბკინა.
(საკდესის კორ.).

ტაშკენტი.

● ●



აფროსნობის სეზონი იწურება. სურათზე თქვენ ხედავთ კლუბ „ვოდნიკის“ სპორტსმენებს მოსკოვის სახელობის არხზე ერთ-ერთ ბოლო საწვრთნელ მეცადინეობაზე.

საკდესის ფოტო.

საკდესი მოგვითხრობს

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 18 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ თბ.	4	4	0	0	13—3	8
„დინამო“ კ.	5	3	2	0	8—1	8
„კარპატი“	5	3	2	0	11—5	8
„დინამო“ მ.	5	3	2	0	11—7	8
„სპარტაკი“	5	3	1	1	14—7	7
ცსკა	5	2	3	0	6—4	7
„შახტიორი“	4	2	2	0	5—3	6
„კრ. სოვეტოვი“	5	2	2	1	6—6	6
„ზენიტი“	6	2	2	2	10—11	6
„ტორპედო“	5	0	4	1	5—6	4
„დინამო“ მნ.	7	1	2	4	5—10	4
„ზარია“	5	1	1	3	5—7	3
„ჩერნომორეცი“	5	0	2	3	2—8	2
„არარატი“	5	1	0	4	7—15	2
„ლოკომოტივი“	6	0	2	4	4—12	2
„დნეპრი“	5	0	1	4	4—11	1

ფეხბურთი

„ოქროს თავთავის“ თასზე

ედინეცი. (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). მოლდავეთის ამ ქალაქში ფინიშს უახლოვდება ჭაბუკ ფეხბურთელთა ნახევარფინალური საკავშირო გათამაშება „ოქროს თავთავის“ პრიზზე, რომელშიც მონაწილეობენ მოლდაველები, უკრაინის, აზერბაიჯანის, რსფსრ-სა და საქართველოს გუნდები.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლება პირველ შეხვედრაში წააგეს მოლდაველებთან — 0:1, ხოლო რსფსრ-ის ნაკრებთან გამარჯვებას მიაღწიეს ანგარიშით 2:1.

ბ. ახობაშვილი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ევროპული ფეხბურთის დღე

ჩემპიონთა თასი

„დინამო“ (კიევი) — „პარტიზანი“ (ბელგრადი) 3:0

„დინამო“: მოსკალენკო, კონკოვი, მატვიენკო, კუზნეცოვი, რეშკო, ტროშკინი, მუნტიანი (კოვალიოვი), ონიშჩენკო, ბურიაკი, ბერეჟნოი, ბლოხინი.

„პარტიზანი“: ივანჩევიჩი (ბოროტა), ანტიჩი, კოზიჩი, ხატუნიჩი, ტომიჩი, სტოიკოვიჩი, ზავიშიჩი, გრუბეშიჩი (ჯორჯევიჩი), პაუნოვიჩი, კუნოვაცი, ტრიფუნოვიჩი.

მსაჯი რ. მეტიუსონი (ინგლისი).

წლევანდელ გაზაფხულზე კიეველები ორჯერ შეხვდნენ „პარტიზანს“, პირველად დაამარცხეს იგი — 2:1, ხოლო მეორედ — ფრედ ითამაშეს — 0:0. ამიტომ მათ ახლა დრო არ დაუკარგავთ დაზვერვაზე და პირველივე წუთებიდან შეუტიეს მეტოქეს. მე-7 წუთზე მუნტიანის მიერ მოწოდებული ბურთი სწრაფად იქნა გათამაშებული იუგოსლაველთა კარის წინ და ონიშჩენკომ გახსნა ანგარიში.

„პარტიზანმა“ მდგომარეობის გამოსასწორებლად მარცხს ძლიერი კონტრშეტევით უპასუხა, თუმცა დინამოელებმა მალე კვლავ ხელთ იგდეს ინიციატივა და 37-ე წუთზე მეორედ აიღეს სტუმრების კარი: ტროშკინმა კარგად გამოიყენა მეკარე ბოროტას შეცდომა.

მიუხედავად იმისა, რომ კიეველები 10 კაცის შემადგენლობით დარჩნენ მინდორზე (უხეში თამაშისთვის გაძევებული იქნა ონიშჩენკო), მათ ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა. მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა „პარტიზანის“ ერთ-ერთმა მცველმა თავისი საჯარიმო მოედნის ფარგლებში ხელით ითამაშა. პენალტი ზუსტად გამოიყენა ბლოხინმა.

სხვა მატჩები

„ლივერპული“ (ინგლისი) — „კრუზეიდერსი“ (ბელფასტი, ჩრ. ირლანდია) 2:0.

„ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ჟენესი“ (ეში, ლუქსემბურგი) 5:1.

ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამე“ (სოფია, ბულგარეთი) — „სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი) 0:0.

„დანდელკი“ (ირლანდია) — ფშვ „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) 1:1.

„აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) — „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი, გფრ) 1:0.

„სტალი“ (მელეცი, პოლონეთი) — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) 1:2.

„დინამო“ (დრეზდენი, გდრ) — „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია) 2:0.

„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — „ციურიხი“ (შვეიცარია) 1:1.

„კებე ბკ“ (დანია) — „ბაიერნი“ (მიუნხენი, გფრ) 0:5.

„ბრიუგე“ (ბელგია) — „სტიაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი) 2:1.

„ომონია“ (ნიქოზია, კიპროსი) — პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი) 0:2.

„ტორინო“ (ტურინი, იტალია) — „მალმიო“ (შვეცია) 2:1.

„აკრანესი“ (რეიკიავიკი, ისლანდია) — „ტრაბზონსპორი“ (თურქეთი) 1:3.

„ვიკინგი“ (სტავანგერი, ნორვეგია) — „ბანიკი“ (ოსტრავა, ჩეხოსლოვაკია) 2:1.

„შლიემა უონდერერსი“ (ლა-ვალეტა, მალტა) — „კუოპიო პალოსეურა“ (ფინეთი) 2:1.

თასების თასი

„კარდიფ-სიტი“ (უელსი) — „დინამო“ (თბილისი) 1:0

მატჩის დამთავრების შემდეგ თბილისის „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა ნ. ახალკაცმა განაცხადა შემდეგი: „ჩვენ შევეძლო გამარჯვება მოგვეპოვებინა, რომ სათანადოდ გვესარგებლა მეტოქის კართან შექმნილი ხელსაყრელი მომენტებით“.

მართლაც, დინამოელებმა ეს მატჩი ენერგიულად, მონდომებით ჩაატარეს და რამდენიმეჯერ ჩააყენეს მეტოქე მძიმე მდგომარეობაში. მათ სულ ცოტა, ორჯერ შეეძლოთ დაწინაურებულიყვნენ: ჯერ ყიფიანმა მოახვედრა ბურთი ძელს, შემდეგ კი გუცაევმა მოატყუა 2 მცველი, მეკარეც, მაგრამ მის დარტყმას მიუსწრო მცველმა ჩარლზმა და კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

როგორც ეს ხშირად ხდება, ერთი გუნდის წარუმატებლობა მეორისთვის სტიმულად იქცევა ხოლმე: კარდიფელებმა გაუძლეს დინამოელთა იერიშებს, შემდეგ გაათანაბრეს თამაში და 73-ე წუთზე გუნდის შეტევების ლიდერმა ოსტონმა გაიტანა კიდეც გოლი, რომელმაც მატჩის ბედი „კარდიფ-სიტის“ სასარგებლოდ გადაწყვიტა.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ჩელებაძე, გუცაევი, ყიფიანი, კოპალეიშვილი.**

სხვა მატჩები

„ჰამბურგი“ (გფრ) — „კეფლავიკი“ (ისლანდია) 3:0.

„ანდერლეხტი“ (ბრიუსელი, ბელგია) — „როდა“ (კერკრადე, ჰოლანდია) 2:1.

მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „სპარტა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) 3:1.

„რაპიდი“ (ვენა, ავსტრია) — „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი) 1:2.

„ლოკომოტივი“ (ლაიფციგი, გდრ) — „ჰართ ოფ მიდლოტიენი“ (შოტლანდია) 2:0.

„ფლორიანა“ (ლა-ვალეტა, მალტა) — „შლიონსკი“ (ვროცლავი, პოლონეთი) მატჩი შედგება 23 სექტემბერს.

„ბოჰემიანსი“ (დუბლინი, ირლანდია) — „ესბერგი“ (დანია) 2:1.

„საუთჰემპთონი“ (ინგლისი) — „ოლიმპიკი“ (მარსელი, საფრანგეთი) 4:0.

აიკ (სტოკჰოლმი, შვეცია) — „გალათასარაი“ (სტამბოლი, თურქეთი) 2:1.

„ლიერსი“ (ბელგია) — „ჰაიდუკი“ (სპლიტი, იუგოსლავია) 1:0.

„გალაცი“ (რუმინეთი) — „ბოავისტა“ (პორტო, პორტუგალია) 2:3.

„კარიკ რეინჯერსი“ (ჩრ. ირლანდია) — „არისი“ (ბონევეგი, ლუქსემბურგი) 3:1.

„ბოდო გლინტი“ (ნორვეგია) — „ნაპოლი“ (ნეაპოლი, იტალია) 0:2.

„ირაკლისი“ (სალონიკი, საბერძნეთი) — „აპოელი“ (ნიქოზია, კიპროსი) 0:0.

უეფა-ს თასი

„შახტიორი“ (დონეცკი) „დინამო“ (ბერლინი) 3:0

„შახტიორი“: დეგტიარევი, იარემჩენკო, გორბუნოვი, კონდრატოვი, პიანიხი, შევლიუკი, როგოვსკი, სოკოლოვსკი, სტარუხინი, დუდინსკი (ვასინი), საფონოვი (ლატიში).

„დინამო“: შვერდტნერი, ნოაკი, იონელატი, აიგენდროფი, ლაუკი, ვრობლევსკი, ტერლეცკი, ტრილოფი, შულენბერგი (ნეტცი), შიუტცე (იუნგლიტი), რიდიგერი.

მსაჯი დ. პარმაკოვი (ბულგარეთი).

მასპინძლებმა თამაშის შემტევი ტაქტიკა აირჩიეს და დასაწყისშივე შექმნეს გოლის გატანის რამდენიმე მომენტი. უკვე მე-3 წუთზე იარემჩენკომ საჯარიმო დარტყმით ბურთი კარის წინ მიაწოდა, როგოვსკიმ კი თავით შეუცვალა მას მიმართულება — 1:0.

გატანილი გოლის შემდეგ დონეცკელები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა როგოვსკი, რომლის გარღვევები მძიმე მდგომარეობაში აგდებდა ბერლინელთა მცველებს.

75-ე წუთზე სოკოლოვსკი პირისპირ აღმოჩნდა მეკარე შვერდტნერთან და აიძულა მეორედ გამოეტანა ბურთი ბადიდან. ხოლო 5 წუთის შემდეგ სტარუხინმა ანალოგიურ სიტუაციაში წერტილი დაუსვა ანგარიშს.

აეკ (ათენი) — „დინამო“ (მოსკოვი) 2:0

აეკ: სტერგიუდასი, თეოდერიდისი, ცანლაიტერი, ნიკოლაუ, რავუზისი, ცამისი, ტასოსი (დედესი), ნიკოლუდისი, ვაგნერი, პაპაიოანუ, მავროსი.

„დინამო“: გონტარი, პაროვი, ნოვიკოვი, ბუბნოვი, მახოვიკოვი, მინაევი, გერშკოვიჩი (პეტრუშინი), დოლმატოვი, იაკუბიკი, კაზაჩონოკი (პავლენკო), ევრიუჟიხინი.

მსაჯი მ. რაუში (იუგოსლავია).

პირდაპირ უნდა ითქვას, მოსკოვის დინამოელებმა თავიანთ შესაძლებლობაზე გაცილებით დაბლა, ინერტულად და შეცდომებით ჩაატარეს მატჩი. ეს განსაკუთრებით ითქმის მეორე ტაიმზე, როცა გუნდმა ინიციატივა მთლიანად დაუთმო მეტოქეს.

ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ჰქონდათ იაკუბიკს, ევრიუჟიხინს, მაგრამ თავი გამოიჩინა მეკარე სტერგიუდასმა, 34-ე წუთზე კი ნიკოლუდისმა დაახლოებით 20 მეტრის მანძილიდან ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა. გონტარმა დააყოვნა და ბურთი ბადეში აღმოჩნდა.

შესვენების შემდეგ, 54-ე წუთზე, მოსკოველთა კარში მეორე გოლი გავიდა პაპაიოანუს დარტყმის შემდეგ და ეს ანგარიში ბოლომდე შემორჩა მატჩს, თუმცა აეკ-ს კიდევ რამდენიმეჯერ ჰქონდა ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა.

სხვა მატჩები

„კიოლნი“ (გფრ) — გკს (ტიხი, პოლონეთი) 2:0.

„ნესტვედი“ (დანია) — „რესინგ უაიტი“ (მოლენბეკი, ბელგია) 0:3.

„კუოპიო“ (ფინეთი) — „ესტერი“ (ვექშე, შვეცია) 3:2.

„ფეიენოორდი“ (როტერდამი, ჰოლანდია) — „იურგორდენი“ (სტოკჰოლმი, შვეცია) 3:0.

„გლენტორანი“ (ბელფასტი, ჩრ. ირლანდია) — „ბაზელი“ (შვეიცარია) 3:2.

„ფრამი“ (რეიკიავიკი, ისლანდია) — „სლოვანი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) 0:3.

„ქუინზ პარკი“ (ლონდონი, ინგლისი) — „ბრანი“ (ოსლო, ნორვეგია) 4:0.

„სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია) — „ვისლა“ (კრაკოვი, პოლონეთი) 2:2.

„სვაროვსკი-ვაკერი“ (ინსბრუკი, ავსტრია) — „სტარტი“ (ქრისტიანსანი, ნორვეგია) 2:1.

„აინტრახტი“ (ბრაუნშვეიგი, გფრ) — „ჰოლბეკი“ (დანია) 7:0.

„აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია) — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) 1:0.

„ბელენენსესი“ (ლისაბონი, პორტუგალია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 2:2.

„ჰიბერნიენი“ (ედინბურგი, შოტლანდია) — „სოშო“ (საფრანგეთი) 1:0.

„მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი) — „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) 1:0.

„პორტო“ (პორტუგალია) — „შალკე-04“ (გელზენკირხენი, გფრ) 2:2.

„ესპანიოლი“ (ბარსელონა, ესპანეთი) — „ნიცა“ (საფრანგეთი) 3:1.

„გრასჰოპერსი“ (ციურიხი, შვეიცარია) — „ჰიბერნიანსი“ (ლა-ვალეტა, მალტა) 7:0.

„უიპეშტი-დოჟა“ (უნგრეთი) — „ატლეტიკო“ (ბილბაო, ესპანეთი) 1:0.

„დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „მილანი“ (იტალია) 0:0.

„ატლეტიკ იუნიონი“ (პარალიმნი, კიპროსი) — „კაიზერსლაუტერნი“ (გფრ) 1:3.

„სლავია“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — „აკადემიკი“ (სოფია, ბულგარეთი) 2:0.

„მაგდებურგი“ (გდრ) — „ჩეზენა“ (იტალია) 3:0.

„ფენერბახჩე“ (სტამბოლი, თურქეთი) — „ვიდეოტონი“ (სეკეშფეჰერვარი, უნგრეთი) 2:0.

ასა (ტირგუ-მურეში, რუმინეთი) — „დინამო“ (ზაგრები, იუგოსლავია) 0:1.

„ინტერნაციონალე“ (მილანი, იტალია) — „ჰონვედი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 0:1.

„აუსტრია“ (ზალცბურგი, ავსტრია) — „ადანასპორი“ (თურქეთი) 5:0.

„სპორტულ სტუდენტესი“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი, საბერძნეთი) 3:0.

„რედ ბოისი“ (ლუქსემბურგი) — „ლოკერენი“ (ბელგია) 0:3.

საბჭოთა გუნდები კონტინენტის ტურნირებში

15 სექტემბერს სტარტი აიღო ევროპის მორიგმა საფეხბურთო საკლუბო ტურნირებმა. უინტერესო არ იქნება გავეცნოთ საბჭოთა გუნდების ადრინდელ შედეგებს ამ ტურნირებში.

● ჩვენი გუნდებიდან გათამაშებაში პირველმა მონაწილეობა მიიღო კიევის „დინამომ“ 1965 წელს. თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მან მეოთხედფინალამდე მიაღწია. პირველი გოლის ავტორია ა. ბიბა.

● ჩემპიონთა თასზე ჩვენმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს 9 გათამაშებაში. ესენია: მოსკოვის „ტორპედო“, კიევის „დინამო“, მოსკოვის „სპარტაკი“, ცსკა, ვოროშილოვგრადის „ზარია“, ერევნის „არარატი“. საუკეთესო მიღწევაა მეოთხედფინალი. ყველაზე მეტი შეხვედრა ჩაატარეს კიეველებმა — 20. საუკეთესო ბომბარდირებია კიეველი ა. პუზაჩი და ერევნელი ე. მარქაროვი — 5-5 გოლი.

● ჩვენმა კლუბებმა თასების მფლობელთა თასის 10 გათამაშებაში მიიღეს მონაწილეობა. ეს გუნდებია: კიევის „დინამო“, მოსკოვის „სპარტაკი“, მოსკოვის „ტორპედო“, ლვოვის „კარპატი“, მოსკოვის „დინამო“, ერევნის „არარატი“. მოსკოვის „დინამომ“ 1972 წელს ფინალში წააგო შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსთან“ — 2:3. დიდ წარმატებას მიაღწია კიევის „დინამომ“ ამ პრიზის 1975 წლის გათამაშებაში, როცა ფინალში ანგარიშით 3:0 დაამარცხა ბუდაპეშტის „ფერენცვაროში“ და საბჭოთა გუნდებიდან პირველმა მოიპოვა პრიზი.

საინტერესოა, რომ კიეველები ამ გათამაშებაში ჩაებნენ არა როგორც სსრ კავშირის თასის მფლობელები, არამედ, როგორც თასის გათამაშების ფინალისტები.

● უეფა-ს თასის გათამაშებაში ჩვენი გუნდები ხუთჯერ მონაწილეობდნენ. ესენია: მოსკოვის „სპარტაკი“, თბილისის „დინამო“, ერევნის „არარატი“, კიევის „დინამო“, მოსკოვის „დინამო“, მოსკოვის „ტორპედო“, ოდესის „ჩერნომორეცი“. საუკეთესო შედეგია მეოთხედფინალი. ყველაზე მეტი თამაში (8) ჩაატარეს თბილისელებმა, რომლებმაც მოიგეს 4 მატჩი, წააგეს 3 და 1 დაამთავრეს ფრედ, ბურთები — 17:14. საუკეთესო ბომბარდირია გ. ნოდია — 5 გოლი. 4 ბურთი გაიტანა დ. ყიფიანმა, 2 — ლ. ნოდიამ, ხოლო გ. გავაშელმა, მ. მაჩაიძემ, ზ. წერეთელმა, ვ. ჭელიძემ, კ. ასათიანმა და ზ. ებრალიძემ — თითო.

● სამივე ტურნირში აქვთ ნათამაშევი კიევის „დინამოს“, მოსკოვის „სპარტაკს“ და „ტორპედოს“, „არარატს“.

● კიევის „დინამომ“ 1975 წლის სუპერთასის გათამაშებაში ორივე შეხვედრა მოუგო მიუნხენის „ბაიერნს“ — 1:0, 2:0 და პრიზის მფლობელი გახდა.

● ევროპის ტურნირების საუკეთესო ბომბარდირი საბჭოთა ფეხბურთელებს შორის არის კიეველი ო. ბლოხინი — 10 გოლი.

ჯ. ჩაჩავა.

ცხაკაიას რაიონი,
სოფელი ნოსირი.

საპასუხო შეხვედრები — 29 სექტემბერს

პრესის აზრით

თბილისის „დინამოს“ გამოსვლამ თასების მფლობელთა თასის მატჩში „კარდიფ-სიტისთან“ სათანადო გამოხმაურება ჰპოვა დიდი ბრიტანეთის პრესაში.

მოგვყავს რამდენიმე ადგილი ბრიტანული გაზეთების ფურცლებიდან.

„დეილი ექსპრესი“

„კარდიფ-სიტის“ ნამდვილი კატასტროფის საშიშროება ელოდა, მაგრამ გუნდი რაღაც სასწაულით გადარჩა.

თბილისის „დინამო“ კარდიფში ჩამოვიდა იმ აშკარა განზრახვით, რომ ყოველი ხელსაყრელი შესაძლებლობა გამოეყენებინა საიერიშოდ. მათი შეტევების შედეგად მასპინძელთა დაცვაში ნამდვილი არეულობა სუფევდა. მასპინძელთათვის ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრის ყიფიანის თამაში, განსაკუთრებით მატჩის დასაწყისში, რომელიც ახერხებდა თავისებური „დერეფნები“ შეექმნა შეტევის საწარმოებლად. რაც შეეხება სწრაფ, ტექნიკურ გარემარბ გუცაევს, მან რამდენიმე შესანიშნავი გარღვევა შეასრულა და მხოლოდ მეკარე ირვინის თავგანწირვამ არ მისცა მას წარმატების მოპოვების შესაძლებლობა.

კარგი ორგანიზებულობით გამოირჩეოდა დინამოელთა დაცვა, რომლის ცენტრში მოქმედებდნენ ტანმაღალი ფეხბურთელები კანთელაძე და ხინჩაგაშვილი. ეს დუეტი უკანა ხაზში ფლობდა მთელ „საჰაერო სივრცეს“, მათ დაუღალავად ეხმარებოდა სწრაფი ებრალიძე. „კარდიფ-სიტის“ თავდამსხმელებს ძალების სრული დაძაბვა სჭირდებოდათ მოპირდაპირე დაცვის დასაძლევად, მაგრამ საამისო შესაძლებლობა მათ იშვიათად ეძლეოდათ. ჩელებაძემ, ყიფიანმა და გუცაევმა ბევრი საზრუნავი გაუჩინეს კარდიფელთა დაცვას და მეკარეს“.

„დეილი მეილი“

„თბილისის „დინამოს“ თამაშის სტილმა აღაფრთოვანა კარდიფელი გულშემატკივრები. „კარდიფ-სიტი“ მატჩის პირველივე წუთებიდან იქნა მიჯაჭვული საკუთარ კართან და იძულებული გახდა თავისი მეკარის ბილ ირვინის ოსტატობას დაყრდნობოდა მთლიანად. ყოველივე ეს მოხდა „დინამოს“ თავბრუდამხვევი სწრაფი შეტევების წყალობით. ირვინი, მართლაც მატჩის გმირი გახდა, რომელმაც უელსელთა გაბზარული დაცვა გადაარჩინა საბოლოო გატეხვას. თბილისელმა ფეხბურთელებმა გვაგრძნობინეს, რომ 2,5 ათასი მილი მათ გაიარეს არა იმისთვის, რომ ყრუ დაცვისთვის შეეფარებინათ თავი“.

„ხანი“

„საბჭოთა ფეხბურთის თასის მფლობელმა — თბილისის „დინამომ“ კარდიფშიც დაამტკიცა, რომ მისი დევიზია მუდმივი შეტევა და სწრაფვა მეტოქის კარისკენ. მასპინძლებს დაუფასებელი სამსახური გაუწია მეკარე ბ. ირვინის მწყობრში დაბრუნებამ ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ. მხოლოდ იგი აკავებდა ჯეროვნად დინამოელთა იერიშებს. „დინამო“ გამუდმებით ეძებდა იერიშის უმცირეს შესაძლებლობასაც კი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავები თბილისის კორტებზე

დასასრული

რცხებენ შედარებით სუსტებს, გუნდების ლიდერები მაგალითს აძლევენ კოლექტივის დანარჩენ წევრებს...

თასის შარშანდელმა მფლობელებმა — მოსკოვის ქალთა და საქართველოს ვაჟთა გუნდებმა წარმატებით აიღეს სტარტი. მოსკოველებმა შეჯიბრების გახსნის დღეს მოუგეს აზერბაიჯანელებს (4:1), მეორე დღეს კი ესტონეთის ნაკრები დაამარცხეს იმავე ანგარიშით. მასპინძელ ვაჟთა გუნდმა ჯერ უკრაინელებს სძლია ანგარიშით 3:1 (წყვილთა შეხვედრა 18 სექტემბრისთვის გადაიდო), შემდეგ კი აზერბაიჯანელები დაამარცხა (5:0).

სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს ჩვენი რესპუბლიკის ქალთა გუნდი, სადაც ვეტერანები და ახალგაზრდები ერთ მთლიან კოლექტივად წარმოგვიდგნენ. უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი ლიდერი ა. ივანოვა ჩვეული სიძლიერით ვერ თამაშობს და ჯერჯერობით სამივე შეხვედრა წააგო (მათ შორის წყვილთა ბრძოლაც). ეს გამოწვეულია მისი ავადმყოფობით, რის გამოც თვეზე მეტია არ უვარჯიშია. სამაგიეროდ, ნ. თუხარელი, მ. ელერდაშვილი და ხ. კეკელია თავს არ ზოგავენ საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად. თუ თუხარელი გამოცდილი სპორტსმენია, თუ მის გამარჯვებებსა და სტაბილურ თამაშს მიჩვეული ვართ, ელერდაშვილი და კეკელია ჯერ ახალგაზრდები არიან და მათი შეუპოვრობა, მონდომება, საზრიანი თამაში მით უფრო სასიხარულოა. რაკი სიტყვა ახალგაზრდებზე ჩამოვარდა, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ჩვენი ვაჟთა გუნდის წევრს გ. ელერდაშვილს, რომელიც დღითი დღე ოსტატდება და სულ მალე ალბათ ახალი მიღწევებითაც გაგვახარებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსკოვის ქალთა გუნდმა ორივე ტურის მატჩები მოიგო. ჩანს, იგი არც წლეულს აპირებს თასის დათმობას. არადა, მართლაც ძალზე ძნელია იმ გუნდის დამარცხება, სადაც მოროზოვა, ჩმირიოვა, გრანატუროვა და ჩუვირინა თამაშობენ.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, აგრეთვე, მოსკოვის ვაჟთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან ა. ვოლკოვი, ბორისოვი, ეგოროვი, კოროტკოვი. ისინი ჯერჯერობით წაუგებლად თამაშობენ.

დაუმარცხებლად მიიწევენ მიზნისკენ ლატვიისა და ბელორუსიის ქალთა, ესტონეთისა და რუსეთის ფედერაციის ვაჟთა გუნდებიც.

ერთი სიტყვით, მთავარი ბრძოლები ჯერ წინაა. შესაძლოა ყველა კითხვაზე გაგვცეს პასუხი შეჯიბრების მესამე დღემ, როცა გაიმართება ბოლო შეხვედრები ქვეჯგუფებში, დამთავრდება შეწყვეტილი თუ გადადებული პარტიები.

ახლა კი ჯგუფებში ლიდერთა შორის ასეთი მდგომარეობაა: ქალთა პირველ ჯგუფში დაწინაურდნენ საქართველოს და მოსკოვის გუნდები, მეორეში — ლატვიელები და ბელორუსიელები. ვაჟთა პირველ ჯგუფში ლიდერობენ საქართველოს და ესტონეთის კოლექტივები, მეორეში ერთპიროვნული ლიდერია მოსკოვის გუნდი. რსფსრ-სა და ბელორუსიის წარმომადგენლებს წყვილთა შეხვედრა აქვთ დასამთავრებელი ერთმანეთთან. პირველი პარტიის შემდეგ წინ რუსეთის ფედერაციის გუნდია — 7:5.

* * *

გაეცანით პირველი ორი ტურის ტექნიკურ შედეგებს:

15 სექტემბერი. პირველი დღე. ქალები: საქართველო — ესტონეთი 3:2; ივანოვა — ტ. პარმასი 0:2 (0:6, 3:6), თუხარელი — მ. აიმრე 2:0 (6:4, 6:0), ელერდაშვილი — ე. ლაპიმაა 2:0 (6:4, 6:2), კეკელია — კ. პედაკი 2:0 (6:1, 6:4), ივანოვა, ელერდაშვილი — პარმასი, ლაპიმაა 0:2 (3:6, 0:6), მოსკოვი — აზერბაიჯანი 4:1, ბელორუსია — უკრაინა 3:2, ლატვია — ლენინგრადი 4:1. ვაჟები: საქართველო — უკრაინა 3:1 (1); მეტრეველი — ა. კოლიასკინი 3:1 (6:3, 6:3, 2:6, 7:6), კაკულია — ბ. ბუზმაკოვი 3:0 (6:2, 6:2, 6:4), ვ. პერეგუდოვი — ა. კოსტენკო 2:2 (5:5). პერეგუდოვს წაგება ჩაეთვალა მსაჯთან კამათის გამო. ელერდაშვილი — გ. ავდეევი 3:0 (6:2, 7:5, 6:1), წყვილთა შეხვედრა, როგორც აღვნიშნეთ, გადატანილია 18 სექტემბრისთვის, რადგან დაბნელდა და თამაში ველარ მოასწრეს. მოსკოვი — ტაჯიკეთი 4:1, რსფსრ — ბელორუსია 2:2 (1), ესტონეთი — აზერბაიჯანი 3:1 (1).

16 სექტემბერი. მეორე დღე. ქალები: საქართველო — აზერბაიჯანი 3:2; ივანოვა — ბირიუკოვა 0:2 (2:6, 3:6), თუხარელი — ვ. გიშიანი 2:0 (6:3, 6:2), ელერდაშვილი — ნ. გიშიანი 2:0 (6:2, 6:1), კეკელია — ვ. სპირიდონოვა 2:0 (6:1, 6:0), ერთ პარტიაში საქართველოს სპორტსმენებს წაგება ჩაეთვალათ იმის გამო, რომ წყვილთა თამაშს თავი აარიდეს. ლატვია — უკრაინა 3:2, მოსკოვი — ესტონეთი 4:1, ბელორუსია — ლენინგრადი 4:1. ვაჟები: საქართველო — აზერბაიჯანი 5:0; მეტრეველი — რ. ახმეროვი 3:0 (6:1, 6:3, 6:2), კაკულია — ლიხაჩოვი 3:0 (6:1, 6:1, 6:1), პერეგუდოვი — ბ. არუთინოვი 3:1 (4:6, 6:4, 6:4, 6:1), ელერდაშვილი — ა. არზუმანოვი 3:0 (6:0, 6:0, 6:0), პერეგუდოვი, ელერდაშვილი — ახმეროვი, არუთინოვი 3:0 (6:2, 6:4, 7:5), მოსკოვი — ბელორუსია 4:1, ესტონეთი — უკრაინა 3:2, რსფსრ — ტაჯიკეთი 4:1.

დ. ჭელიძე.

* * *



სურათებზე: მარცხნიდან — გ. ელერდაშვილი, ნ. ჩმირიოვა, ხ. კეკელია.

ი. იუნაევის ფოტოები.

გუშინ...

თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის გუნდური თასის გათამაშების ფინალის III ტური. გაგაცნობთ შედეგებს: ქალები. საქართველო — მოსკოვი 1:4, ესტონეთი — აზერბაიჯანი 3:2, ლატვია — ბელორუსია 1:4, უკრაინა — ლენინგრადი 3:2; ვაჟები. საქართველო — ესტონეთი 3:2, ბელორუსია — ტაჯიკეთი 3:2, მოსკოვი — რსფსრ 3:1 (1), უკრაინა — აზერბაიჯანი 3:1 (1). ამრიგად, ქალთა პირველ ჯგუფში იმარჯვეს მოსკოველებმა, რომლებიც I ადგილისთვის შეხვდებიან II ჯგუფში გამარჯვებულ ბელორუსიის გუნდს. საქართველოს ნაკრები III ადგილისთვის იბრძოლებს მეორე ჯგუფში II ადგილზე გასულ ლატვიის კოლექტივთან. ვაჟებში ერთმანეთს პირველობას შეეცილებიან საქართველოს და მოსკოვის გუნდები. III ადგილის ბედი გაირკვევა ესტონეთისა და რსფსრ-ს კოლექტივების ასპარეზობაში.

თასი — კანადელებს

მონრეალი, 16 სექტემბერი. „კანადის თასზე“ ასპარეზობის მეორე ფინალურ მატჩში კანადელმა ჰოკეისტებმა დამატებით დროში ანგარიშით 5:4 (2:0, 0:1, 2:3, 1:0) დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის გუნდი და ამ ტურნირში გამარჯვება მოიპოვეს.

ტამაშ აიანი: ფედერაციის ახალი ამოცანები

ბუდაპეშტი. ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (ივფ) სამდივნო, რომელიც თექვსმეტ წელიწადს ინგლისის დედაქალაქში მუშაობდა, ამიერიდან ბუდაპეშტში გადმოინაცვლებს.

მონრეალში გამართულ კონგრესზე ფედერაციის ახალ გენერალურ მდივნად უნგრელი ტამაშ აიანი აირჩიეს. 37 წლის აიანი ევროპის ძალოსნობის ფედერაციის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი იყო. 1973 წლიდან იგი საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობაში მუშაობდა და ახლა გენერალური მდივნის პოსტზე შეცვალა ინგლისელი ოსკარ სტეიტი.

მტი-ს კორესპონდენტთან საუბარში ტამაშ აიანმა თქვა: „უახლოეს ხუთ-ექვს თვეში დიდი ამოცანები გვაქვს გადასაჭრელი. უნდა გადავხედოთ წესდებას და განვიხილოთ შესწორებები. ჩვენ თვალყური უნდა ვადევნოთ მილიონ-ნახევრამდე სპორტსმენს, რომლებიც რეგულარულად ვარჯიშობენ ძალოსნობაში 105 ქვეყანაში, დიდი სიზუსტით აღვნუსხოთ მათი ყველა წარმატება. 14-16 ნოემბერს ბუდაპეშტში ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა მოეწყობა, მანამდე კი მოვიწვევთ ამავე ფედერაციის ორ უმნიშვნელოვანეს კომისიას — ტექნიკურსა და სამედიცინოს“.

ძალოსნობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ისაა, რომ შემოღებულია მეათე კატეგორია. ესაა მეორე ქვემძიმე წონა (100 კგ), რომელიც ჩართულია პირველ ქვემძიმე (90 კგ) და პირველ მძიმე (110) წონებს შორის. ასე რომ, ახლა იგი ოფიციალურად აღიარებულად ითვლება.

მიუხედავად ამისა, როგორც ტამაშ აიანი ამბობს, შტუტგარტში, სადაც 1977 წლის სექტემბერში ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება, ბრძოლები მხოლოდ ცხრა კატეგორიაში გაიმართება, რადგან მწვრთნელებისთვის ახალი წონის შემოღება დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

— იმედი უნდა ვიქონიოთ, — თქვა აიანმა, — რომ ახალი ჯგუფი უკვე შემდეგი ოლიმპიადიდან დამკვიდრდება პროგრამაში. მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია.

როგორც აიანმა აღნიშნა, ივფ-ს აზრით, სადოპინგო კონტროლი, ოლიმპიადების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების გარდა, შემოღებული უნდა იყოს ყველა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაშიც. მხოლოდ ამგვარ ვითარებაში მოპოვებული რეკორდები შეიძლება ჭეშმარიტად ჩაითვალოს.

თავისებური რეკორდი

ნიუ იორკი, (საკდესი). მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა 200 მეტრზე რბენაში მილარდ ჰემპტონმა (აშშ) მარტის დამდეგიდან ივნისის დამლევამდე 13-ჯერ აიღო სტარტი 100 მეტრზე ან 100 იარდზე რბენაში, 17-ჯერ — 200 მეტრზე, ერთხელ — 440 იარდზე, 12-ჯერ — 4×100 მეტრზე ესტაფეტაში, სამჯერ — 4×200 მეტრზე და ცხრაჯერ — 4×444 იარდზე. მონრეალში ჰემპტონი ოთხჯერ გამოვიდა სტარტზე 200-მეტრიან დისტანციაზე — 21,11 — 20,83 — 20,69 — 20,29. იგი სამჯერ ჩაება 4×100 მეტრზე ესტაფეტაში. სულ ხუთი თვის მანძილზე ახალგაზრდა მძლეოსანმა 58 შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა...

21 სექტემბერს

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში (ჯაფარიძის ქ. № 4) გაიმართება **რეგბის რესპუბლიკური ფედერაციის** სხდომა. დასაწყისი 18 ს.

საკდესი მოგვითხრობს

გულშემატკივრებისგან დასაცავად

ლონდონი, (რეიტერი). „უემბლის“ სტადიონზე, სადაც აგერ უკვე მეექვსე ათეული წელია ტარდება ინგლისის ნაკრების ყველა დიდი მატჩი, გრძნობას აყოლილი გულშემატკივრებისგან დასაცავად მინდორს ბადეს შემოავლებენ. ასე გადაწყვიტა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ.

ფიფა-ს (ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია) წესების თანახმად, ყველა დიდი საერთაშორისო შეჯიბრების ფინალი მოეწყობა მინდვრებზე, რომლებსაც ან დამცველი ბადე ექნებათ გარს შემოვლებული, ან თხრილები, ამიტომ, „თუ გვინდა, რომ „უემბლის“ სტადიონზე საინტერესო მატჩები ჩატარდეს, ასეთ ზომას უნდა მივმართოთ“, — თქვა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მდივანმა ტედ კროკერმა.

განზრახული აქვთ მინდორს ბადე შემოავლონ თებერვალში, როცა „უემბლიზე“ დაგეგმილია საერთაშორისო მატჩის გამართვა ინგლისსა და ჰოლანდიას შორის.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

თადარიგიანი ხალხი

მონტევიდეო, (საკდესი). ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა სია იმ 50 ფეხბურთელისა, რომელთაც აეკრძალათ უცხოეთის გუნდებში თამაში 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით.

ამ სიაში შედის ყველა ფეხბურთელი, ვინც ატლანტის თასის გათამაშებაში გამოდიოდა, აგრეთვე, ახალგაზრდები, ლიმაში (პერუ) გამართული სამხრეთ ამერიკის ახალგაზრდული ჩემპიონატის მონაწილენი. გარდა ამისა, სიაში დასახელებულია ყველა ცნობილი ფეხბურთელი, რომლებიც 1 ოქტომბრისთვის ჯერ კიდევ არ იქნებიან 20 წლისა.

ნაკრები ტურნესთვის ემზადება

სიდნეი, (საკდესი). ავსტრალიელ ფეხბურთელებს ოქტომბერში ტურნე ექნებათ ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში. უკვე დადგინდა ნაკრების შემადგენლობა. 19 მოთამაშეს შორის ცხრა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეა. მათ შორისაა გუნდის კაპიტანიც, წარმოშობით ინგლისელი პიტერ უილსონი.

ფეხბურთის ბევრი მცოდნისა და მოყვარულის გასაკვირად, ნაკრებში ჩარიცხეს ცენტრალური მცველი ჰერი მაროჩიც, რომელსაც ნაკლებად იცნობენ ავსტრალიის დასავლეთში მდებარე თავისი მშობლიური ქალაქის ფარგლებს გარეთ.

ავსტრალიის გუნდმა ათი მატჩი უნდა ითამაშოს შვიდი ქვეყნის: ინდონეზიის, ჰონკონგის, სამხრეთ კორეის, ისრაელის, ჰოლანდიის, დასავლეთ გერმანიის და დიდი ბრიტანეთის ფეხბურთელებთან.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52. განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55. სპორტული — 99-56-47 93-97-53. ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56. მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობის — 93-97-57. ჭადრაკის — 93-97-51. წერილების — 93-97-54. მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; განცხადებები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.